საქართველოს რეფორმების ასოციაციის პროექტ

„ფაქტ-მეტრის"

სარედაქციო საბჭოს დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

დებულება განსაზღვრავს „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) პროექტ „ფაქტ-მეტრის“ სარედაქციო საბჭოს უფლებამოსილებას და სამართლებრივ სტატუსს.

მუხლი 2.

სარედაქციო საბჭო წარმოადგენს პროექტ „ფაქტ-მეტრის“ ფარგლებში მოქმედ კოლეგიურ ორგანოს.

მუხლი 3.

საბჭო თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს „ფაქტ-მეტრს“ და ვალდებულია მოქმედებდეს „ფაქტ-მეტრის“ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობის/ხელმომწერის სტატუსით გათვალისწინებული პრინციპების, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიით დადგენილი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

თავი II

საბჭოს მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 4

საბჭოს საქმიანობის მიზანია სარედაქციო პოლიტიკა იყოს ობიექტური, დაბალანსებული, ეთიკური და მუდმივად ვითარდებოდეს პრიორიტეტებისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და პროექტის საქმიანობა შეესაბამებოდეს „ფაქტ-მეტრისა“ და „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებაში წევრობით აღებულ ვალდებულებებს. საბჭო უზრუნველყოფს „ფაქტ-მეტრის“ პლატფორმის მუშაობას საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მუხლი 5 საბჭოს ძირითადი

ამოცანებია:

5.1 მუშაობის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და მისი მუდმივი განვითარება;

სექტემბერი, 2024 წ.

თბილისი, საქართველო

5.2 მეთოდოლოგიის დარღვევის შემთხვევების დროული გამოვლენა და გადაჭრის უზრუნველყოფა;

მუხლი 6 დასახული ამოცანების შესრულებისას საბჭო უფლებამოსილია:

6.1. განსაზღვროს სარედაქციო პოლიტიკა, მეთოდოლოგია, შეიმუშავოს მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის გზები;

6.2 განიხილოს და პრევენციული ღონისძიებები დასახოს ობიექტური, დაბალანსებული და ეთიკური ნორმების დარღვევის საფრთხეების აღმოსაფხვრელად, მათ შორის განახორციელოს გამოქვეყნებული სტატიების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პერიოდული აუდიტი და გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში კეთილსინდისიერი შესწორების პოლიტიკა;

6.3 განიხილოს რედაქტორების მიერ დაყენებული პრობლემური საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

6.4 ახორციელებს ვებ-გვერდზე განსათავსებელი კონტენტის შესახებ იდეების განხილვასა და შერჩევას;

6.5 განსაზღვროს „ფაქტ-მეტრის“ მუშაობის მეთოდოლოგია, შესწორების პოლიტიკის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობა;

6.6 განიხილოს „ფაქტ-მეტრის“ საიტზე გამოქვეყნებული სტატიების შესახებ შემოსული საჩივრები და მოსაზრებები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ვერდიქტის შესწორების გადაწყვეტილება;

6.7 საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პირები განსაზღვროს და განახორციელოს აღსრულების მონიტორინგი.

თავი III

საბჭოს შემადგენლობა

მუხლი 7

7.1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან პროექტ „ფაქტ-მეტრის“ მთავარი რედაქტორი, ტექნიკური რედაქტორი და მმართველი რედაქტორი;

7.2. საბჭოს თავმჯდომარეა „ფაქტ-მეტრის“ მთავარი რედაქტორი;

7.3. საბჭოზე გადაწყვეტილების მისაღებად თითოეული რედაქტორის ხმას აქვს თანაბარი წონა და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

თავი IV

სარედაქციო საბჭოს დამოუკიდებლობა

მუხლი 8

სარედაქციო საბჭო „ფაქტ-მეტრის“ სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში სარგებლობს სრული დამოუკიდებლობით, როგორც „საქართველოს რეფორმების ასოციაციის,“ ასევე მისი პარტნიორების, დონორების, დამფუძნებლებისგან თუ სხვა -

სექტემბერი, 2024 წ.

თბილისი, საქართველო

ორგანიზაციასთან რაიმე ფორმით აფილირებული თუ არააფილირებული მესამე პირებისაგან, მათ შორის პოლიტიკური სუბიექტებისგან, საჯარო ფიგურებისგან და ა.შ.

მუხლი 9

დაუშვებელია ნებისმიერი პირის მხრიდან სარედაქციო საბჭოს საქმიანობაში ჩარევა ან ჩარევის მცდელობა, ნებისმიერი ფორმით.

თავი V

დასკვნითი დებულება

მუხლი 10

საბჭოს დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 11

საბჭოს მიერ დებულების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ემსახურება დებულებით განსაზღვრულ მიზნებს და გავლენა აქვს ორგანიზაციის ზოგად საქმიანობაზე, წერილობით უნდა ეცნობოს „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დირექტორს.

მუხლი 12

სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მიღებისთანავე, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული საბჭოს მიერ.

სექტემბერი, 2024 წ.

თბილისი, საქართველო